ა ვ ტ ო ბ ი ო გ რ ა ფ ი ა

მე, ზვიად ცეკვავა, დავიბადე 1990 წლის 21 აპრილს, თბილისში.

[redacted]

2007 წელს დავამთავრე თბილისის N89-ე საჯარო სკოლა და ამავე წელს ჩავირიცხე კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლაში. 2011 წელს მომენიჭა სამართლის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.

2016 წელს ჩავირიცხე საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სამართალმცოდნეობისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზე, 2018 წელს მომენიჭა სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხი.

2011 წელს, დავიწყე პრაქტიკა და შემდეგ სტაჟირება თბილისის საქალაქო სასამართლოში.

2011-2012 წლებში, გავიარე მოსამართლის თანაშემწის სამთვიანი სასწავლო კურსი იუსტიციის უმაღლეს სკოლაში და 2012 წლის 30 იანვარს ჩავაბარე სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული ტესტური გამოცდა.

2012 წლის 10 იანვრიდან, დავინიშნე თბილისის საქალაქო სასამართლოში, სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის სამდივნოს სხდომის მდივნის თანამდებობაზე. ამ პოზიციაზე ვიმუშავე 2017 წლის 8 ივნისამდე.

2017 წლის 8 ივნისიდან, 2023 წლის 11 ივლისამდე დასაქმებული ვიყავი თბილისის საქალაქო სასამართლოში, სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის სამდივნოს მოსამართლის თანაშემწის - პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოში მუშაობის პერიოდში გავდიოდი არაერთ ტრენინგს კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით.

2022 წლის 28 მაისს ჩავაბარე მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალიზაციით.

2023 წლის 11 ივლისიდან, 2024 წლის 12 ივლისამდე ვიყავი იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი.